თინათინ ქაროსანიძე
თავისუფალი უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
t.karosanidze@freeuni.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.82

რელიგიის როლი თანამედროვე რადიკალურ დაჯგუფებებში

თანამედროვე ისლამისტური რადიკალური დაჯგუფებები საკუთარ იდეოლოგიასა და ტაქტიკაში სულ უფრო ხშირად მიმართავენ რელიგიურ ნარატივებს. ამ დაჯგუფებების იდეოლოგიის საფუძველს ისლამის როგორც სუნიტური, ისე შიიტური მიმდინარეობა წარმოადგენს.

მოხსენებაში განხილულია ორი ისლამისტური რადიკალური დაჯგუფების: ე.წ. ისლამური სახელმწიფოს და ჰეზბოლას იდეოლოგიების რელიგიური დისკურსი. ე.წ. ისლამური სახელმწიფო ისლამის სალაფიტური მიმდინარეობის ნარატივებს ეფუძნება, ჰეზბოლა კი ისლამის შიიტური მიმდინარეობის ნარატივებს იყენებს. აღსანიშნავია, რომ ისლამის ამ ორი სექტას შორის განსხვავებების მიუხედავად, რასაც განხილული რადიკალური დაჯგუფებები იყენებს, მათ აქვთ გამაერთიანებელი რელიგიური დისკურსიც, რომელსაც ორივე დაჯგუფება საკუთარ ტაქტიკაში აქტიურად მიმართავს.

კვლევა ეფუძნება ე.წ. ისლამური სახელმწიფოს და ჰეზბოლას ლიდერების გამოსვლების, ამ ორგანიზაციების პრესის თუ ტელევიზიის, ოფიციალური დოკუმენტების ანალიზს, რომელშიც ორგანიზაციების მიზნები, ტაქტიკა და შარიათზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნის იდეა გაანალიზებულია.

ჰეზბოლასა და ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს დაჯგუფებები აქტიურად იყენებენ რელიგიურ ნარატივებს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამ ორ დაჯგუფებას შორის არსებული იდეოლოგიური განსხვავებების მიუხედავად, რომელიც ისლამის შიიტურ და სუნიტურ მიმდინარეობებში არსებობს, ორივე ორგანიზაციის საბოლოო მიზანს ჯიჰადის მეშვეობით ისლამური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენს. ჰეზბოლას მიზანს ლიბანის ისლამურ სახელმწიფოდ ტრანსფორმაცია წარმოადგენს, ე.წ. ისლამური სახელმწიფოსთვის კი - შუა საუკუნეების ისლამური სახალიფოს აღდგენა. მიზნის მიღწევის წარმატებულ საშუალებად კი ჯიჰადს მიიჩნევენ.

ე.წ. ისლამური სახელმწიფო. 2014 წელს ე.წ. ისლამური სახელმწიფოს დაარსების შესახებ გამოცხადდა. დაჯგუფების დამაარსებელი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი აცხადებდა, რომ მის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის მიზანი იყო ისლამური სახალიფოს აღდგენა იმ საზღვრებში, რომელშიც შუა საუკუნეებში ომაელთა სახალიფო არსებობდა. აბუ ბაქრმა საკუთარი თავი ხალიფად გამოაცხადა და მუსლიმებს მისი ერთგულებისკენ მოუწოდა.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ლიდერი ცდილობდა, რელიგიური იდეოლოგიის საფუძველზე საკუთარი ორგანიზაცია დაეშენებინა. მისი სახელი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი შერქმეული სახელია და არაბთა სახალიფოს პირველ ხალიფას აბუ ბაქრს[1]

[1] აბუ ბაქრ ას-სიდიკი (632-634) - ისლამური სახალიფოს პირველი ხალიფა, რომელიც მოციქული მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ მუსლიმურ თემს ჩაუდგა სათავეში. აბუ ბაქრი იყო მუჰამადის სიმამრი და აიშას მამა. მისი ხალიფობა ძირითადად არ-რიდას ომებს უკავშირდება, როდესაც მუჰამადის სიკვდილის შემდეგ გამდგარი ტომები ხელახლა მოაქცია ისლამზე (ჯაფარიძე, 1999, 13).

უკავშირდება. დაჯგუფების ლიდერმა, რომლის ნამდვილი სახელი იბრაჰიმ 'ავად იბრაჰიმ 'ალი მუჰამმად ალ-ბადრი ას-სამარა'ი იყო, სწორედ პირველი ხალიფას სახელი აიღო, რითაც სურდა საკუთარ ორგანიზაციაში შუა საუკუნეების ისლამური სახალიფოს ყველა ნიშანი გადმოეტანა.

აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ საკუთარი ხალიფობის ლეგიტიმაციის დასადასტურებლად დოკუმენტიც გამოაქვეყნა, სადაც ამტკიცებდა, რომ ის წარმომავლობით იმავე ყურაიშიტების ტომიდან იყო, რომელსაც მოციქული მუჰამადი განეკუთვნებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ე.წ. ისლამური სახელმწიფო სუნიტური დაჯგუფებაა, შესაბამისად აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის ხალიფობა ისლამის სუნიტურ ვერსიას უნდა დაფუძნებოდა, რომლის მიხედვით ხალიფობა მხოლოდ მოციქულის ტომის წარმომადგენელს ანუ ყურაიშიტების ტომის წარმომადგენელს შეეძლო.

ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ დაარსებისთანავე ოქროს და ვერცხლის მონეტების მოჭრა დაიწყო ოქროს დინარების და ვერცხლის დირჰემების მსგავსად. ასეთი დინარები და დირჰამები შუა საუკუნეების ისლამურ სახალიფოში გამოიყენებოდა. ასევე, ორგანიზაცია საკუთარ დროშად აბასელთა სახალიფოს შავ დროშას იყენებდა.

ე.წ. ისლამური სახელმწიფოს რელიგიური ნარატივები ძირითადად ამ დაჯგუფების ლიდერების და სპიკერების განცხადებებში ცხადდება. აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი სხვა დაჯგუფებების ლიდერებისგან განსხვავებით, იშვიათად ჩნდებოდა ტელევიზიით და სოციალურ სივრცეში. სულ რამდენიმე განცხადებაა ცნობილი. პირველ განცხადებაში, რომელიც მან ან-ნურის დიდ მეჩეთში გააკეთა, მუსლიმებს მოუწოდებდა "ალაჰის რელიგიის დაცვისკენ ჯიჰადის გზით" [9]. შესაბამისად, დაჯგუფების იდეოლოგიის და მიზნების შესახებ ძირითადად სპიკერი აბუ მუჰამმად ალ-ადნანი ავრცელებდა ინფორმაციას. ალ-ადნანისვე ეკუთვნის დაჯგუფების დევიზი: "ისლამური სახელმწიფო იარსებებს (მომავალში დარჩება თ.ქ.)" [7: 118].

"ისლამის და მისი მიმდევრების ომი ჯვაროსნებისა და მათი მიმდევრების წინააღმდეგ, ხანგრძლივია" - აცხადებდა ალ-ბაღდადი მის 18-წუთიან ვიდეოში [9]. ის ჯიჰადს მივიწყებულ ვალდებულებად თვლიდა და მის მომხრეებს ისლამის დაცვისკენ მოუწოდებდა.

ჰეზბოლა. ჰეზბოლას დაჯგუფება 1978 წელს სოციალური და პოლიტიკური საპროტესტო ისლამური მოძრაობის სახით დაარსდა. ორგანიზაციის რელიგიური იდეოლოგია სამ ძირითად პრინციპს ეფუძნებოდა: შიიტური ისლამი, ფაკიჰთასაბჭო (ვილაიათ ალ-ფაკიჰ) და ჯიჰადი [3:13]. ისლამის შიიტური მიმართულების მიხედვით დაჯგუფება ასევე აღიარებს იმამათს, თაკიას [2]და თა'ბიას[3] პრინციპებს.

ჰეზბოლას იდეოლოგია და მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული 1985 წელს გამოქვეყნებულ მანიფესტში. მანიფესტში ნათლად იყო გაცხადებული: "ჩვენ ვართ უმმას ძენი - ღმერთის პარტია, ავანგარდი, რომელმაც ირანში გამარჯვება მოიპოვა... ჩვენ ვემორჩილებით ერთი ლიდერის ბრძანებებს, ბრძენსა და სამართლანს, ჩვენს მასწავლებელს და ფაკიჰს, რომელიც ავსებს ყველა საჭიროებას: რუჰოლა მუსავი ხომეინის. ღმერთმა დაიცვას!" [The Hizballah Program, 1988]

---

[2] თაკია - რწმენის კეთილგონიერი დამალვის პრინციპი შიიტურ ისლამში. ზაიდიტების სექტის გარდა, თაკიას პრინციპს აღიარებს ყველა შიიტური სექტა. ყველაზე აქტიურად თაკიას პრინციპს ისმაილიტები იყენებდნენ და თავს სუნიტებად ასაღებდნენ. თაკია ახლაც ძალაშია იმ ქვეყნებში, სადაც შიიტები უმცირესობაა არიან (ჯაფარიძე, 1999, 70).

[3] თა'ბია -

ჰეზბოლა მსოფლიოს ყურანის მცნებების საკუთარი ინტერპრეტაციების მიხედვით ყოფდა ორ ნაწილად: მუსთაქბირუნა ანუ მჩაგვრელებად და მუსთად'აფუნა ანუ დაჩაგრულებად [6:190-193].

ჰეზბოლას დაჯგუფებამ ლიბანის შიიტურ მოსახლეობაში ახალი ტიპის რწმენა გაავრცელა. ახალი ტიპის შიიზმი აშურას[4] დატირების ტრადიციას უკავშირდებოდა, რომელიც ლიბანისთვის უცხო იყო და ირანიდან გადმოიღეს. აშურას რიტუალთან ერთად ლიბანში ჰუსაინიას საბჭოების შინაარსის მოდიფიკაცია განხორციელდა, ასევე იმამ ალის ოჯახთან დაკავშირებული დღესასწაულებიც შეიქმნა [4:7]. დაჯგუფებისთვის ვილაიათ-ე-ფაკიჰი რელიგიური კონცეფციაა, რომელიც რელიგიური სამართლიანობისკენ მიიწევს. სამართლიანობა კი ისლამური სახელმწიფოს მიზანი უნდა ყოფილიყო.

ჰეზბოლა სამ ქვაკუთხედზე დგას: ისლამის რწმენა, ჯიჰადი და ვილაიათ ალ-ფაკიჰი. პირველი ქვაკუთხედის მიზანს ისლამის რწმენას რომ უკავშირდება, ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბება წარმოადგენდა.

ჰეზბოლასთვის ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ხელს უშლის ლიბანის მრავალკონფესიურობა და მრავალეთნიკურობა. აღსანიშნავია, რომ 1943 წლის შეთანხმებით, ლიბანში პრეზიდენტი უნდა იყოს მარონიტი, პრემიერ-მინისტრი სუნიტი მუსლიმი, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე - შიიტი მუსლიმი. ლიბანის პარლამენტში ასევე წარმოდგენილია ყველა კონფესია. სწორედ ასეთი მრავალფეროვნება შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდა ჰეზბოლასთვის ისლამური სახელმწიფოს ფორმირების შესახებ. შესაბამისად, დაჯგუფებას მოუწია, ისლამთან ერთად ნაციონალიზმისთვის მიემართა და ისლამიზმი ნაციონალიზმის სამსახურში ჩააყენა [2: 74]. აქედან გამომდინარე, ჰეზბოლა არა მხოლოდ ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობაა, არამედ ასევე არის ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობა. ისლამური სახელმწიფოს იდეამ გარკვეული მოდიფიცირება განიცადა მას შემდეგ, რაც ირანის სულიერმა ლიდერმა ხამენეიმ რელიგიური განკარგულება გამოსცა, რომლის მიხედვით ჰეზბოლას სეკულარულ პროცესებში ჩართვის ლეგიტიმური უფლება მიეცა. ამის შემდეგ დაჯგუფებამ ტაქტიკა შეცვალა და ის ლიბანის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერთო. შესაბამისად, ჰეზბოლას ლიდერებს მოუხდათ ახალი ტაქტიკისთვის თეოლოგიური საფუძვლების მორგება. ცვლილება ასევე შეეხო დაჯგუფების იდეოლოგიას, რომელიც საწყის პერიოდი უმმას კონცეფციას ეფუძნებოდა და ტაქტიკის ცვლილების შესაბამისად ერი სახელმწიფოს იდეაში გადაინაცვლა. ალოოსის განმარტებით, "ჰეზბოლა ახლა არის არა მხოლოდ უმმას ნაწილი, როგორც დასაწყისში გამოაცხადა, არამედ ერი სახელმწიფოს ნაწილიც" [2: 95]. თუმცაღა ჰეზბოლას რელიგიური მეცნიერი საიდ სადიკ ალ-მუსავი მხარს უჭერდა ლიბანის ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადების იდეას ირანის ისლამური რესპუბლიკის მსგავსად, რომლის კონსტიტუცია ყურანს უნდა დაფუძნებოდა [2:23].

ჰეზბოლას მეორე ქვაკუთხედი ვილაიათ ალ-ფაკიჰის დოქტრინაა, რომლის მიხედვით ვალი ალ-ფაკიჰი წარმოადგენს მოციქულ მუჰამადის და თორმეტი იმამის ძალაუფლების გაგრძელებას. შესაბამისად, დაჯგუფებისთვის ვილაიათ ალ-ფაკიჰი ლიბანის და მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტის პოლიტიკურ სისტემას წარმოადგენს.

---

[4] აშურა - შიიტების რელიგიური სამგლოვიარო რიტუალი, რომელიც შიიტთა მესამე იმამის ალის ვაჟის და მოციქულ მუჰამადის შვილიშვილის. ჰუსაინის მოსახსენებლად იმართება. 610 წლის 10 ოქტომბერს ჰუსაინი ქარბალასთან ბრძოლაში დაიღუპა. დატირების მისტერია ქარბალაში ყოველწელს იმართება, რომელშიც შიიტები მთელი მსოფლიოდან ჩადიან მონაწილეობის მსიარებად. ირანში ქუჩის პროცესიები, რომელიც რეზა შაჰ ფეჰლევის დროს აიკრძალა, ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ აღდგა (ჯაფარიძე, 1999, 33).

დაჯგუფების მესამე ქვაკუთხედი ჯიჰადია. ჰეზბოლასთვის ფიზიკური ჯიჰადის გარდა, არსებობს დიდი ანუ სულიერი ჯიჰადიც. დიდი ჯიჰადი წარმოადგენს მზადებას მცირე ჯიჰადში მონაწილეობისთვის. მისგან განსხვავებით, ე.წ. ისლამური სახელმწიფო ფიზიკურ ჯიჰადს ანიჭებს უპირატესობას. შიიტური დაჯგუფება ფიზიკური ჯიჰადის მხოლოდ თავდაცვით ფორმას აღიარებს, რადგან შიიტური ისლამის მიხედვით, თავდასხმითი ჯიჰადის უფლება მხოლოდ მოციქულ მუჰამდ და თორმეტ იმამს ქონდა. მას შემდეგ, რაც ისინი აღარ არიან, თავდასხმითი ჯიჰადი აკრძალულია.

ჰეზბოლასა და ე.წ. ისლამურ დაჯგუფებას რელიგიურ ნარატივებში ჯიჰადის პრინციპი აერთიანებს. ჰეზბოლამ ჯიჰადის კლასიკურ კონცეფციას საკუთარი ნარატივი დაუმატა, რომლის მიხედვით ჯიჰადი არის "ყველა ძალისხმევის გარება მტრისგან დასაცავად" [2:23]. ჯიჰადში მონაწილის ჯილდოს კი სამოთხე წარმოადგენს. ჰეზბოლას ვერსიით, ჯიჰადზე ნებართვა ფაკიჰს უნდა გაეცა. აღსანიშნავია, რომ ასეთი ნებართვა არ ჭირდება ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ჯიჰადს, რომელიც ჯიჰადს, როგორც ფიზიკურ ბრძოლას აღიარებს.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშოს, რომ ისლამის სხვადასხვა სექტების კუთვნილების მიხედავად, ამ სალაფიტურ და შიიტურ დაჯგუფებებს აერთიანებს ისლამური სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომელიც ჯიჰადის მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

ლიტერატურა:

1. ჯაფარიძე გ., კარლო კუცია, მეგი მეტრეველი, გიორგი სანიკიძე, მიხეილ სვანიძე, გოჩა ჯაფარიძე, (1999): ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, რედ. გრიგოლ ბერაძე, გამომცემლობა "ნეკერი", თბილისი

2. AL-Aloosy M., (2020), The Changing Ideology of Hezbollah, Palgrave Macmillan, https://doi.org/10.1007/978-3-030-34847-2

3. Alagha J.E., (2006): The Shift in Hizbullah's Ideology: Religious Ideology, Political Ideology, And Political Program, ISIM, Amsterdam University press

4. Majed Z., (2010): Hezbollah And The Shiite Community: From Political Confessionalization To Confessional Specialization, The Aspen Institute, Lebanon Renessaince Foundation,

5. Martelli, A., (2019): Socialization and Leadership in Islamic Extremist Organizations: The Cases of Hezbollah and Al-Qaeda, LUISS, http://tesi.luiss.it/24434/1/083132_MARTELLI_ADELAIDE.pdf

6. Quran, Al Islam, at www.alislam.org

7. Stern, J., and J.M Berger, (2015): ISIS The State of Terror, Harper Collins Publishers, New York

8. The Hizballah Program, an Open Petter, (1988), The JerusalemQuarterly, IDC Herzliya, ICT - International Institute for Counter-Terrorism, https://www.ict.org.il/UserFiles/The%20Hizballah%20Program%20-%20An%20Open%20Letter.pdf

9. Wright, R., (2019): ISIS's Leader, Abu Bakr Al-Baghdadi - The World's Most Eanted Man - Is Dead // New Yorker, https://www.newyorker.com/news/our-columnists/isiss-leader-abu-bakr-al-baghdadi-the-worlds-most-wanted-man-is-dead

Tinatin Karosanidze

Tbilisi, Georgia

The role of religion in contemporary radical groups

Abstract

Contemporary Islamist radical groups are increasingly turning to religious narratives in their ideology and tactics. The ideology of these groups is based on both the Sunni and Shiite currents of Islam. This wuestions are analyzed in the article.